



## სტატისტიკის წარმოების სისტემა საქართველოში

სახელმწიფო სტატისტიკას, სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების სხვა მნიშვნელოვან საკითხების მსგავსად, ევროპის კავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაში დიდი ყურადღება ეთმობა (4.5.5). სამოქმედო გეგმის თანახმად, სახელმწიფო სტატისტიკის სისტემაში უნდა გატარდეს ორი ძირითადი რეფორმა: (ა) საქართველომ უნდა დანერგოს სტატისტიკის წარმოების ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროპულ სტანდარტებთან, განსაკუთრებით, შემდეგ სფეროებში: სახელმწიფო ფინანსებში, ბიზნესში და საგარეო ვაჭრობაში და (2) ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციას უნდა მოჰყვეს ინსტიტუციური რეფორმები სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში, რაც უზრუნველყოფს ოპტიმალურ ბალანსს არსებულ რესურსებსა და მონაცემების ხარისხს შორის და ასევე, სტატისტიკის დეპარტამენტის და მისი ადგილობრივი ფილიალების დამოუკიდებლობის გაძლიერებას.

ამ ანგარიშში შეჯამებულია სახელმწიფო სტატისტიკის წარმოებაში მონაწილე სტრუქტურების საქმიანობა, ესენია: სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს ეროვნული ბანკი. მონაცემების მოპოვებისა, ანალიზისა და გავრცელების არსებული პრაქტიკის გარდა ანგარიში ასევე განიხილავს დაგეგმილ რეფორმებს, რომლებიც მიზნად ისახავს მონაცემების მოპოვებისა და გავრცელების ობიექტურობის განმტკიცებას.

### სახელმწიფო სტატისტიკის წარმოებაში მონაწილე სტრუქტურები

საქართველოში მოქმედებს სახელმწიფო სტატისტიკის წარმოების დეცენტრალიზებული სისტემა. ეროვნული კანონმდებლობა სტატისტიკის წარმოებაში წამყვან როლს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს ანიჭებს, ამ პროცესში საქართველოს ეროვნული ბანკი და ფინანსთა სამინისტროც მონაწილეობენ. დეპარტამენტი პასუხისმგებელია საყოველთაო აღწერის ჩატარებაზე. ის ასევე ამუშავებს ისეთ მნიშვნელოვან სტატისტიკურ ინფორმაციას, როგორცაა ინფლაციის დონე, მთლიანი შიდა პროდუქტი, სამომხმარებლო ფასების ინდექსი, დასაქმების სტატისტიკა, სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა, ეკოლოგიური და ჯანდაცვის სტატისტიკა და ა.შ. ფინანსთა სამინისტრო ამუშავებს ინფორმაციას სახელმწიფო ფინანსების და შემოსავლების, შიდა და საგარეო ვალის, და იმპორტის და ექსპორტის შესახებ. ეროვნული ბანკი კი ინფორმაციის ერთადერთი წყაროა მონეტარულ საკითხთან მიმართებაში. ფაქტიურად, თითოეული ეს სტრუქტურა მუშაობის პროცესში ეყრდნობა დანარჩენი ორი სტრუქტურის მონაცემებს. შესაბამისად, სახელმწიფო სტატისტიკის სისტემა ამ სამ სტრუქტურას აერთიანებს, თუმცა ხშირად ხდება სხვადასხვა სახის სტატისტიკური მონაცემების მოპოვების, ანალიზის და გავრცელების დელეგირება სხვა ადმინისტრაციულ სტრუქტურებზეც, მაგალითად, საგანმანათლებლო სფეროსთან დაკავშირებულ სტატისტიკას აწარმოებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თუმცა მოპოვებული ინფორმაციის გავრცელებამდე, სამინისტრომ ეს ინფორმაცია უნდა შეუთანხმოს სტატისტიკის დეპარტამენტს. სამინისტრო მოიპოვებს და ამუშავებს ინფორმაციას საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის შესახებ მათი იურიდიული სტატუსის მიხედვით, სტუდენტების გადანაწილების შესახებ სქესობრივი და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, მასწავლებლების გადანაწილების შესახებ სქესობრივი და ასაკობრივი ჯგუფებისა და განათლების მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულებების



მატერიალურ-ტექნიკური ბაზების შესახებ, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების შესახებ და ა.შ.

## სტატისტიკის სფეროში არსებული ძირითადი სირთულეები

### შიდა კოორდინაცია

სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვის ეფექტურობა რამდენიმე სახელისუფლებო სტრუქტურას შორის კოორდინირებულ საქმიანობაზეა დამოკიდებული. სტატისტიკური ინფორმაციის მოძიება და ანალიზი სხვადასხვა სტრუქტურებიდან მიღებული მონაცემების შედარებას და შეჯერებას მოითხოვს. მაგალითად, საგადამხდელო ბალანსის დასადგენად საჭიროა ინფორმაციის მოპოვება სტატისტიკის დეპარტამენტიდან, ეროვნული ბანკიდან, საბაჟო სამსახურიდან, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურიდან, ტურიზმის დეპარტამენტიდან და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებიდან. მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება სტატისტიკის დეპარტამენტის საქმეა, თუმცა ის ამ გაანგარიშებაში, ბუნებრივია, იყენებს ფინანსთა სამინისტროს და ეროვნული ბანკის მონაცემებს. საბოლოო შედეგს ეკონომიკური პროგნოზირებისათვის იყენებს ფინანსთა სამინისტრო “ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების” ლოკუმენტის შემუშავებისას.

და მაინც, დღესდღეობით საქართველოში სტრუქტურათაშორისი თანამშრომლობა არ არის კარგად კოორდინირებული; ზოგჯერ სტატისტიკის წარმოებაში ჩართული სტრუქტურები ვერ აკმაყოფილებენ ერთმანეთის მოთხოვნებს. მაგალითად, ფინანსთა სამინისტრო უკმაყოფილოა იმით, რომ სტატისტიკის დეპარტამენტი აქვეყნებს მხოლოდ ფასების ინდექსის პროცენტულ ცვლილებას, მაშინ, როცა მაკროეკონომიკური პროგნოზისთვის აუცილებელია ფასების ინდექსის აბსოლუტური მნიშვნელობები.

### დამოუკიდებლობა

სტატისტიკური მონაცემების მწარმოებელთა ურთიერთთანამშრომლობა და კოორდინაცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინსტიტუციონალური სტრუქტურის გამართულობაზე. როგორც მინიმუმ, კოორდინაციისთვის მნიშვნელოვანია, არსებობდეს ერთი სტრუქტურა, რომელსაც (ა) ექნება იმის უფლებამოსილება, რომ კოორდინირება გაუწიოს სტატისტიკის წარმოებაში მონაწილე სხვა სტრუქტურებს და (ბ) იქნება საკმარისად დამოუკიდებელი, რათა აწარმოოს ობიექტური მაჩვენებლები.

საქართველოს სტატისტიკურ სისტემას თუ დავაკვირდებით, შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი მოთხოვნა დაცული არ არის. ამ სისტემის შემადგენელი სამი ძირითადი სტრუქტურა სხვადასხვა ტიპის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს (პოლიტიკური და ადმინისტრაციული უფლებამოსილებების მიხედვით). ფინანსთა სამინისტრო, როგორც მინისტრთა კაბინეტის ერთ-ერთი მთავარი ერთეული, ამ მხრივ, გამორჩეულ პოზიციაზეა, თუმცა, დღევანდელ ვითარებაში რთულია იმის თქმა, რომ ის თავისუფალია პოლიტიკური გავლენისგან.

არსებობს მოსაზრება, რომ დასახელებულ სამ სტრუქტურას შორის დამოუკიდებლობის ყველაზე მაღალი ხარისხით ხასიათდება საქართველოს ეროვნული ბანკი. მისი სტატუსი განსაზღვრულია კონსტიტუციაში, სადაც გარანტირებულია მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ეროვნული



ბანკი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე; ეროვნული ბანკის საბჭო შედგება შვიდი წევრისგან, რომლებსაც ასახელებს პრეზიდენტი და ამტკიცებს პარლამენტი. საბჭო ასახელებს ბანკის პრეზიდენტის კანდიდატურას (საბჭოს შემადგენლობიდან) და ამ კანდიდატურას ამტკიცებს პრეზიდენტი (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 96).

სტატისტიკის დეპარტამენტი, რომელსაც სტატისტიკის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობის კოორდინაცია ევალება, არის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება. მისი თავმჯდომარის კანდიდატურას ასახელებს ეკონომიკური განვითარების მინისტრი და ამტკიცებს პრემიერ-მინისტრი. დეპარტამენტის ხელმძღვანელობის თქმით, ის კანონმდებლობა, რომელიც სახელმწიფო სტატისტიკის სისტემას არეგულირებს, მოძველებულია – საკანონმდებლო მუხლების დაახლოებით 2/3 მკვდარი მუხლებია. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ “ვარდების რევოლუციის” შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ხელისუფლების სტრუქტურა; შეიცვალა სტატისტიკის დეპარტამენტის სტრუქტურული პოზიცია, თუმცა თითქმის უცვლელი დარჩა მისი მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო. სტატისტიკის დეპარტამენტის სუსტი სტრუქტურული პოზიციის ერთ-ერთი შედეგი ის არის, რომ ბოლო რამდენიმე წელში დეპარტამენტის თავმჯდომარე რამდენჯერმე შეიცვალა.

ის ფაქტი, რომ ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა კონსტიტუციით არის გარანტირებული, ხოლო სტატისტიკის დეპარტამენტი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებულ ერთეულს წარმოადგენს ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ პირველი სტრუქტურა ბოლომდე დამოუკიდებელია, ხოლო მეორე – მუდმივ გავლენას განიცდის. ამ მხრივ მთავარ პრობლემას ის წარმოადგენს, რომ სტატისტიკის დეპარტამენტის ამჟამინდელი სტატუსი არ აძლევს მას სტატისტიკური მონაცემების მოპოვებაში, დამუშავებაში და გავრცელებაში წამყვანი როლის შესრულების საშუალებას. ამავდროულად, დეპარტამენტის დამოუკიდებლობის საკანონმდებლო გარანტიების არარსებობა სახელმწიფო სტატისტიკის სისტემის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოქცევის საფრთხის წინაშე აყენებს. პრობლემას საქართველოს ხელისუფლებაც აღიარებს და ეს საკითხი, შესაბამისად, შეტანილია ევროპის კავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაში.

### რესურსები

დღემდე სტატისტიკის საკითხს საქართველოში დიდი ყურადღება არ დასთმობია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში პრემიერ-მინისტრი და მთავრობის სხვა წარმომადგენლები საჯარო პოლიტიკის დაგეგმვისას უფრო აქტიურად იყენებენ სტატისტიკურ მონაცემებს, ვიდრე ეს ადრე ხდებოდა, სტატისტიკის დამუშავებისთვის გამოყოფილი რესურსები არასაკმარისი რჩება. ფინანსთა სამინისტროს და ეროვნული ბანკის ის დანაყოფები, რომლებიც ამ სფეროში მუშაობენ სულ რამდენიმე თანამშრომლითაა დაკომპლექტებული. ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკის და სტატისტიკის დეპარტამენტში 15 ადამიანი მუშაობს, ხოლო ფინანსთა სამინისტროს ფინანსური სტატისტიკისა და მაკროეკონომიკის სამმართველოში კი მხოლოდ 5.

სტატისტიკის დეპარტამენტის შტატი უფრო დიდია: ცენტრალურ ოფისში მუშაობს დაახლოებით 95 თანამშრომელი (სრულ განაკვეთზე). რეგიონული ოფისების და კონტრაქტით აყვანილი თანამშრომლების ჩათვლით დეპარტამენტის სტრუქტურაში სულ 1,000-მდე ადამიანია დაკავებული (კონტრაქტით აყვანილი თანამშრომლები გამოიყენებიან მხოლოდ გამოკითხვების ჩატარების დროს).



ამ საკმარისად შეზღუდული ადამიანური რესურსების ეფექტურად გამოყენების მიზნით სტატისტიკის დეპარტამენტი ცდილობს, გაატაროს გარკვეული ინსტიტუციური რეფორმები, რომელთა ძირითადი მიმართულებებია ფუნქციების დეცენტრალიზაცია და უფლებამოსილებების დანაწილება. ამ მიზნით, ყველა რაიონში მცირე შესაძლებლობების მქონე დანაყოფების არსებობის ნაცვლად, დეპარტამენტმა შექმნა შვიდი, შედარებით მაღალი შესაძლებლობების მქონე, რეგიონული ოფისი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატისტიკის დეპარტამენტი ჯერჯერობით აჭარის ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში რჩება, თუმცა სტატისტიკის სისტემის ცენტრალიზაციის შემდეგ, აჭარის ოფისიც სახელმწიფო დეპარტამენტის ერთ-ერთ ქვე-დანაყოფად გადაკეთდება. მომავალში ცენტრალურ და რეგიონულ ოფისებს ექნება მკვეთრად განსაზღვრული ფუნქციები, კერძოდ: ცენტრალური ოფისი შექმნის ეროვნულ ქსელს აღწერის ჩატარებისა და სხვა საველე სამუშაოებისთვის; შეიმუშავებს ტრენინგების პროგრამებს თანამშრომლებისთვის და ა.შ., ხოლო ადგილებზე ტრენინგების ჩატარებას კოორდინაციას გაუწევენ და ამ ტრენინგებს ჩაატარებენ შესაბამისი რეგიონული ოფისები, რითაც განივითარებენ სტატისტიკური მონაცემების მოპოვების, ანალიზის და გავრცელების უნარს.

## მიმდინარე და დაგეგმილი ცვლილებები

### დაგეგმვა

სტატისტიკის დეპარტამენტი აპირებს, მეტი ყურადღება დაუთმოს დაგეგმვის პროცესის დახვეწას. ამ ეტაპზე მუშავდება სტრატეგია, რომელშიც გაწერილი იქნება დეპარტამენტის გრძელვადიანი მიზნები. დეპარტამენტმა უკვე მოამზადა და მსოფლიო ბანკს წარუდგინა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო სტატისტიკის სისტემის ძირეულ შეფასებას და ამ შეფასების საფუძველზე, სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებას. საბოლოო ჯამში დეპარტამენტი შეიმუშავებს ყოველწლიურ გეგმებს, რომლებსაც, შესაბამისად, ყოველწლიურად განახორციელებს.

სახელმწიფო სტრატეგიის ეფექტურად განხორციელებისთვის აუცილებელია, რომ სათანადო დონეზე განვითარებული იყოს დეპარტამენტის ტექნიკური შესაძლებლობებიც. ამდენად, მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთ ნაწილს ტექნიკური კომპონენტიც წარმოადგენს. 2007 წლის ზაფხულიდან, თ ჩრმ-ის დახმარებით, ამუშავდება უკაბელო შიდა ქსელი, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს დეპარტამენტის ცენტრალურ და ყველა რეგიონულ ოფისს. სისტემაში გამოყენებული იქნება ერთიდაიგივე სტატისტიკური პროგრამები და ქსელში განთავსებული ინფორმაცია ერთდროულად ხელმისაწვდომი იქნება ყველა ოფისისთვის. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ ეს სისტემა მათ საშუალებას მისცემს, 2010 წლის საყოველთაო აღწერა საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით განახორციელონ.

### სახელმწიფო სტატისტიკის ინტერნაციონალიზაცია

ნებისმიერი სტატისტიკური სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს სტატისტიკის იმგვარად წარმოება წარმოადგენს, რომ დამუშავებული ინფორმაცია არა მხოლოდ ობიექტური, არამედ



საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი იყოს, რაც იმის საშუალებას შექმნის, რომ ეს ინფორმაცია გამოყენებული იყოს სხვა ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებთან შესადარებლად. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია სტატისტიკის სახელმწიფო სისტემის ინტერნაციონალიზაციით, ანუ ინფორმაციის მოპოვების, გაანალიზებისა და გავრცელების საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის დანერგვით.

საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის აუცილებლობას ხაზს უსვამენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და ამ აუცილებლობას აღიარებს საქართველოს ხელისუფლებაც. სტატისტიკის დეპარტამენტი ინფორმაციის დამუშავებისას დღეს უკვე იყენებს გაეროს და საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტატისტიკური სამსახურების მიერ აპრობირებულ მეთოდოლოგიას. ამჟამად დეპარტამენტი სამომხმარებლო ფასების ინდექსს ადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარებით შემუშავებული მეთოდის გამოყენებით. რაც შეეხება მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებას, ამ შემთხვევაში დეპარტამენტი ეყრდნობა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის სტატისტიკური განყოფილების მეთოდს. ფინანსთა სამინისტრო და ეროვნული ბანკიც ხშირად იყენებენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმძღვანელოებს ისეთი სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებისთვის, როგორცაა მონეტარულ სფეროში არსებული მდგომარეობა, საგარეო ვალები, სახელმწიფო შემოსავლები და ხარჯები და ა.შ.<sup>1</sup>

საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის და სახელმწიფო სტატისტიკის გამჭვირვალობის კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 2006 წლის დეკემბერში, როცა საქართველო მიუერთდა „ზოგადი მონაცემების გავრცელების სისტემას“ (General Data Dissemination System - GDDS). GDDS არის საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს წევრ-ქვეყნებში მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების ხარისხის ამაღლებას. ის ასევე ეხმარება წევრ-ქვეყნებს, რომ სტატისტიკური მონაცემები შეიქმნას და გავრცელდეს დროულად, გასაგებად და მიუკერძოებლად. ამისთვის ყველა ქვეყანას ვეალება, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვებგვერდზე განათავსონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მეთოდოლოგიას იყენებენ სტატისტიკური მონაცემების მოპოვება-დამუშავებისთვის და რა კონკრეტულ ცვლილებებს გეგმავენ ამ მეთოდოლოგიის გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, მათ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია მუდმივად უნდა განახლდეს (თუკი რამეს შეცვლიან თავიანთ სისტემაში).

დღესდღეობით სავალუტო ფონდის ვებგვერდზე მართლაც არის განთავსებული გარკვეული ინფორმაცია საქართველოს სტატისტიკის სისტემის, კერძოდ სტატისტიკის მოპოვების, დამუშავების და გავრცელების მექანიზმების შესახებ. აქვე მოცემულია მონაცემები ფისკალური და ფინანსური სექტორების, სახელმწიფო ვალის, სოციალურ-ეკონომიკური საკითხების, ასევე სტატისტიკის დეპარტამენტის, ფინანსთა სამინისტროს და ეროვნული ბანკის სამომავლო გეგმების შესახებ<sup>2</sup>. ამ ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელია იმის შესაფასებლად, თუ რამდენად შეძლებენ ეს სტრუქტურები განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

<sup>1</sup> მონაცემების მოპოვებისთვის, ანალიზისთვის და გავრცელებისთვის გამოიყენება საერთაშორისო სავალუტო ფონდის შემდეგი სახელმძღვანელო ინსტრუქციები: *Balance of Payments Manual* (1993); *Monetary and Financial Statistics Manual* (2000); *Government Finance Statistics Manual* (2001); *External Debt Statistics* (2003).

<sup>2</sup> იხილეთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვებგვერდი:  
<http://dsbb.imf.org/Applications/web/gdds/gddscountrycategorylist/?strcode=GEO>



**დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებები**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო სტატისტიკა დაცული იყოს პოლიტიკური გავლენისგან. საქართველოს მთავრობის დავალებით სტატისტიკის დეპარტამენტმა შეიმუშავა ახალი კანონპროექტი, რომლითაც განისაზღვრება დეპარტამენტის სამართლებრივი სტატუსი, მისი როლი, ფუნქციები და ვალდებულებები. კანონპროექტების პაკეტი უკვე მომზადდა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის დახმარებით. ის შენიშვნებისა და წინადადებებისთვის გადაგზავნილია სამინისტროებში. ამ პირველადი შეფასების დასრულების შემდეგ კანონპროექტს და გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებებს განიხილავს მინისტრთა კაბინეტი და დასამტკიცებლად წარადგენს პარლამენტში.

ახალ პროექტში სახელმწიფო სტატისტიკის სისტემის განსხვავებული სტრუქტურაა წარმოდგენილი, კერძოდ, უნდა შეიქმნას ეროვნული სტატისტიკის სამსახური, რომელიც დამოუკიდებელი იქნება ეკონომიკური განვითარების სამინისტროსგან და პირდაპირ დაექვემდებარება პრემიერ-მინისტრს; სტატისტიკის სამსახურის გენერალური დირექტორი დაინიშნება ხუთწლიანი ვადით (შესაბამისად, მისი უფლებამოსილების ვადა არ დაემთხვევა საარჩევნო ციკლს); აკრძალული იქნება გენერალური დირექტორების პოლიტიკური მიზეზების გამო გათავისუფლება; სტატისტიკის სამსახურს ეყოლება საზედამხედველო კოლეგიური ორგანო – სტატისტიკის ეროვნული საბჭო, რომელიც განახორციელებს შემდეგ ფუნქციებს: (ა) მონიტორინგს გაუწევს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მუშაობას, (ბ) კოორდინაციას გაუწევს იმ სტრუქტურების მუშაობას, რომლებიც ჩართულები არიან სტატისტიკური მონაცემების დამუშავებაში და (გ) სტატისტიკურ საქმიანობას დაიცავს ნებისმიერი სახის პოლიტიკური ჩარევებისგან. საბჭო შედგება 15 წევრისგან, მათ შორის იქნებიან ეროვნული ბანკის, სამინისტროების, სამეცნიერო წრეების, ბიზნესისა და მასმედიის წარმომადგენლები<sup>3</sup>. საბჭოს წევრებს დანიშნავს პრემიერ-მინისტრი ხუთი წლის ვადით და ისინი დამოუკიდებლად არჩევენ (საბჭოს შემადგენლობიდან) საბჭოს თავმჯდომარეს.

ახალი კანონპროექტით ასევე უნდა გაიზარდოს სტატისტიკის სამსახურის კოორდინაციის უფლებამოსილება: ყველა ის სტრუქტურა, რომელიც სტატისტიკას აწარმოებს ვალდებული იქნება გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების, შენახვისა და გავრცელების ის მეთოდოლოგია და კონფიდენციალურობის დაცვის ის მოთხოვნები, რომლებსაც დაადგენს სტატისტიკის სამსახური. გარდა ამისა, ისინი თავიანთი სტატისტიკური განყოფილებების თანამშრომლებს აიყვანენ სტატისტიკის სამსახურის გენერალური დირექტორის მიერ დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით.

დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებები, სავარაუდოდ, დადებითად იმოქმედებს სტატისტიკის დეპარტამენტის დამოუკიდებლობის გაზრდაზე, თუმცა ზოგიერთი დამოუკიდებელი ანალიტიკოსის აზრით, ყველაზე რთული და ამავდროულად აუცილებელი ის არის, რომ სტატისტიკის სისტემა გათავისუფლდეს იმ გუნდის გავლენისგან (პრემიერ-მინისტრის ჩათვლით), რომელიც ეკონომიკურ შედეგზეა პასუხისმგებელი. მათი აზრით, ამისთვის საჭიროა, რომ დეპარტამენტი (ან შემდგომში – სამსახური) იყოს აღმასრულებელი ხელისუფლებისგან

<sup>3</sup> კანონპროექტის თანახმად, საბჭოში უნდა შედიოდეს შემდეგი სამინისტროები: ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.



დამოუკიდებელი, ცალკე მდგომი სტრუქტურა, თუმცა გარდამავალ პერიოდში ის შეიძლება პრეზიდენტსაც დაექვემდებაროს.

## დასკვნა: სტატისტიკა გამჭვირვალობისთვის

სახელმწიფო სტატისტიკის სფეროში დღეს არსებული მდგომარეობა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან დაუყოვნებელ ქმედებას საჭიროებს. აუცილებელია, რომ ყველა ის სტრუქტურა, რომელიც სახელმწიფო სტატისტიკის წარმოებაში და გავრცელებაში მონაწილეობს შესაბამისი რესურსებით იყოს აღჭურვილი. კარგი იქნება, თუ დაგეგმილი ინსტიტუციური რეფორმები უფრო სწრაფად განხორციელდება, რათა სტატისტიკის დეპარტამენტის წამყვანი როლი სტატისტიკის ეროვნულ სისტემაში სამართლებრივად უფრო განმტკიცდეს. ამ რეფორმებს დადებითი შედეგები ექნება ყველა დაინტერესებული მხარისთვის: შესაძლოა, ხელისუფლებამ ყოველთვის მისთვის სასიამოვნო ინფორმაცია ვერ მიიღოს, მაგრამ ობიექტური სტატისტიკა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სახელმწიფო პოლიტიკის სწორად დანერგვას; ბიზნესმენები და პოტენციური ინვესტორები უფრო მეტად ენდობიან დამოუკიდებელი სტრუქტურის მიერ წარმოებულ სტატისტიკას, რაც დაეხმარება საქართველოში მიმზიდველი ბიზნეს-კლიმატის ჩამოყალიბებას, და ბოლოს, სამოქალაქო საზოგადოებას საშუალება მიეცემა, რომ ხელისუფლების საქმიანობა უკეთესად შეაფასონ სანდო სტატისტიკის გამოყენებით.

*ანგარიშის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის “საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო” მადლობას უხდის: ფრიდონ ასლანიკაშვილს (ფინანსთა სამინისტროს ფინანსური სტატისტიკის და მაკროეკონომიკის სამმართველო), ნანა ასლამაზიშვილს (ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტი), ვალერი მალრაძეს (სტატისტიკის დეპარტამენტი) და ჰენრი მატერსს (ფინანსთა სამინისტრო).*